№1.

ააიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

„248“

„01“ „ბერეკეთი“ 2020 წელი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გიორგი გოგლიჩიძეს

ბატონო გიორგი,

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის N2069-43 10/08/2020წ წერილის საფუძველზე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 2021 წლის ბიუჯეტის პროექტს წარმოგიდგენთ 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის ფარგლებში. (2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 2700000 ლარს).

მისაღები სუბსიდია პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით განაწილდა შემდეგი ფორმით:

ხელფასის ფონდი შეადგენს 1981900 ლარს, მივლინების ხარჯი 2000 ლარს.

ოფისის ხარჯი შეადგენს 182700 ლარს.

2019 წლის საშუალო წლიურმა გამტარიანობამ შეადგინა 1235 ბავშვი,(ვინაიდან პანდემიის გამო შეწყვეტილი იყო სასწავლო პროცესი, ვისარგებლეთ 2019 წლის საშუალო წლიური გამტარიანობით, 2021 წლის ბავშვთა სია დაზუსტდება სასწავლო წლის დაწყებისას) 2019 წლის მონაცემებით ერთი ბავშვის კვების ღირებულებამ დღიურად, საშუალოდ შეადგინა 1,79 თეთრი. კვების თანხა 2021 წლის ბიუჯეტში განისაზღვრა საშუალოდ 1532 ბავშვზე, დღიური 1,90 ლარზე და კვების მუხლის თანხამ შეადგინა 495000 ლარი.

სამედიცინო ხარჯისათვის განისაზღვრა 2000 ლარი.ტრანსპორტის ხარჯისათვის 2500 ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი განისაზღვრა შემდეგი სახით: კადრების გადამზადებისათვის 5000 ლარი,საარქივო მომსახურებისათვის 500 ლარი, ბინის ქირისათვის 11700 ლარი, დერატიზაციისა და წყლის სინჯებისათვის 10700 ლარი, სულ 27900 ლარი.

სოციალური დახმარების (ბიულეტენი) მუხლში 6000 ლარი.

შენიშვნა:

2021 წლის ბიუჯეტის შედგენისას გვსურდა გაგვეთვალისწინებინა მთელი რიგი პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ფიქსირდება, კერძოდ: საკვები პროდუქტების ფასების მკვეთრი გაზრდა ვერ მოგვცემს საშუალებას კვების თანხის გაზრდის გარეშე 2021 წელს შევიძინოთ საჭირო რაოდენობის კვების პროდუქტები.

სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული ზრდისათვის აუცილებელია მოხდეს მათი ყოველწლიური გადამზადება.

ბაღებში გათბობის სისტემის დამონტაჟებამ საგრძნობლად გაზარდა კომუნალური ხარჯები, რომელთა დასაფარად მთელი წლის მანძილზე გვიწევდა სხვადასხვა მუხლებიდან ეკონომიის ხარჯზე თანხების მოძიება. ამჟამად 14 საბავშვო ბაღში იწყება სარემონტო სამუშაოები, სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამჟამად მშენებარე საზანოს N37 საბავშვო ბაღში ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება მკვეთრად გაზრდის კომუნალურ ხარჯებს.

ამასთან ცხენთაროს N10, ძირულის N25 და წიფლავაკის სტრუქტურულ ერთეულების შენობების აშენება ვერ ხერხდება 2020 წლის ბოლომდე, კვლავ საჭიროა აღნიშნული ბაღების

ნაქირავებ ბინაში ფუნქციონირება და აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული 2021 წლის ბიუჯეტში, ამ ბაღების ფუნქციონირებისათვის, ბინის ქირავნობის თანხები.

გაერთიანების კომპიუტერები გადასახალისებელია, დიდი რისკის ქვეშ უწევთ მუშაობა გაერთიანების თითოეულ თანამშრომელს, რადგან კომპიუტერის დაზიანების შემთხვევაში დავდგებით უამრავი ინფორმაციისა და მონაცემების დაკარგვის საშიშროების წინაშე.

სტრუქტურულ ერთეულებში პერიოდულად ზიანდება წყლის, კანალიზაციისა თუ გათბობის სისტემები და მათ შესაკეთებლად საჭირო დეტალების შესაძენად, არც თუ ისე მცირე თანხებია საჭირო.

ნაწილობრივ კვლავ მოსაგვარებელია ახალი რეცხვა-დეზინფეცირებადი საბავშვო ავეჯი, თეთრეული, ლეიბები და სამზარეულოს ჭურჭელი, რათა თავიდან ავიცილოთ სურსათის ეროვნული სააგენტოს საჯარიმო სანქციები.

არც ერთ სტრუქტურულ ერთეულში საშტატო განრიგით არ გვყავს ფართის დამლაგებლები და ჭურჭლის მრეცხავები, მათი ფუნქვია დაკისრებული აქვთ აღმზრდელის თანაშემწეებს.

ბავშვების უსაფრთხოებიდან გამომდინარე აუცილებელია ბაღების ეზოს ფართობების შემოღობვა. სკოლამდელი განათლების სტანდარტებიდან გამომდინარე შესაძენია სასწავლო ლიტერატურა, ეზოსა და ჯგუფის ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები, აუდიო და ვიდეო ტექნიკა. ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის დასამზადებელია შენობის უსაფრთხოების გენ-გეგმა და ნაწილობრივ ბაღებში შესაძენია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარი.

ამრიგად,

ბატონო გიორგი, 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის ფარგლებში, დაგეგმილი ახალი 2021 წლის ბიუჯეტი არ მოგვცემს საშუალებას 41 სტრუქტურულ ერთეულში ნაწილობრივ მაინც მოვაგვაროთ აღნიშნული პრობლემები.

მმართველი: /ზ. ლელაძე/